თასს ხუმრობა არ უყვარს…

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 23 მარტი.

“დინამო” (თბილისი) – “მეტალურგი” (ზაპოროჟიე) 2:2 (0:1).

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი (გუცაევი), ჭელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, ქანთარია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გ. მაჩაიძე, გ. ნოდია, ესებუა.

“მეტალურგი”: გუძი, ტომახი, დენეჟი, გონჩაროვი, ტარანოვი, კლიუჩიკი (პეტროვი), მარჩენკო, კულიჩენკოვი, პენზინი, კაშჩეი, კოლოდინი.

მსაჯი: ვ. ფარდმანი (ეისკი).

თასს ხუმრობა არ უყვარს, ეს ცნობილი ამბავია. მისი უპირველესი სპეციფიკა სწორედ ისაა, ძლიერისა და სუსტის წინასწარ განსაზღვრული კატეგორიები ხშირად რომ ისპობა და სიურპრიზი ყოველ გათამაშებაში, რამდენიც გნებავთ, იმდენია. რად ღირს, თუნდაც, შედეგები თასის წლევანდელი პირველი ორი მეთექვსმეტედფინალური მატჩისა, რომლებიც სწორედ წინა დღეს ჩატარდა: 1 ლიგის გუნდებმა გათამაშებიდან გამოთიშეს უმაღლესი ლიგის კოლექტივები, მათ შორის – სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორიც.

ყველაფერი ეს ცნობილია და ამიტომ იოლ გამარჯვებას ზაპოროჟიეს “მეტალურგთან” არავინ ელოდა, მით უმეტეს, რომ ამ გუნდში რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი თამაშობს, მათ შორის კიევის “დინამოს” ყოფილი წევრები – კაშჩეი, დენეჟი…

გამარჯვება არც იყო იოლი. თანაც, პირველი ტაიმი დინამოელებმა წააგეს, მაგრამ ამას მარტო თასის სპეციფიკურობით ვერ ავხსნით. სწორედ წაგებულ ტაიმში თამაშობდნენ თბილისელები ძალიან არაორგანიზებულად, თავიანთი ტრადიციული შეცდომებითა და ნაკლოვანებებით, ბურთის გაუთავებელი უსარგებლო ტარებით. ტერიტორიული უპირატესობა გუნდს უდაოდ ჰქონდა, მაგრამ საქმეც ისაა, რომ უპირატესობა “ტერიტორიულის” ცნებას ვერ გასცდა. ”მეტალურგს” საკმარისი იყო კონტრშეტევა განეხორციელებინა, “დინამოს” კართან მაშინვე სახიფათო მომენტი იქმნებოდა. მაგალითად, მე–10 წუთზე გოგიამ წარმოუდგენელი ნახტომით მოიგერია კლიუჩიკის ბურთი, წუთის მერე პენზინმა ახლოდან ააცდინა კარს, მე–12 წუთზე კაშჩეის მიერ შორიდან დარტყმული ბურთი მოხვდა ძელს, დაუბრუნდა მინდორს და იქ პენზინს ხელს არავინ უშლიდა ანგარიშის გახსნაში – 1:0.

ამ მარცხს არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია დინამოელთა თამაშში. შესვენებამდე ისინი ძველებურად მოქმედებდნენ…

მხოლოდ მეორე ტაიმში მიაღწიეს დინამოელებმა საჭირო ურთიერთგაგებას, განავითარეს მაღალი ტემპი და პირველივე 10 წუთის განმავლობაში გადაწყვიტეს გამარჯვების საქმე. მ. მაჩაიძე გადაიყვანეს წინ, შეტევის მახვილზე. მარჯვენა ფლანგზე კარგად ითამაშა გუცაევმა და გუნდის იერიშებსაც დასრულებული სახე მიეცა. 53–ე წუთზე მ. მაჩაიძემ დროზე მიუსწრო მეკარესა და მცველს შორის ნაჩქარევად გათამაშებულ ბურთს, ერთი წუთის შემდეგ კი მანვე თავით ზუსტად ითამაშა ესებუას გადაცემისას – 2:1.

მ. მაჩაიძეს ამ მატჩში შეეძლო “ჰეტ–თრიკი” შეესრულებინა, ძალიან ხელსაყრელ პოზიციაში ვერ გაიტანეს გოლი ებრალიძემ, ქანთარიამ, ნოდიამ. თავის

მხრივ მეტალურგებსაც შეეძლოთ ანგარიშის გაქვითვა, მაგრამ მდგომარეობა იხსნა ჭელიძემ, რომელმაც კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი 82–ე წუთზე.

თბილისის "დინამომ" შეინარჩუნა თასისთვის ბრძოლის უფლება.

ბ. ქორქია.

"ლელო", 25 მარტი, 1975 წ.